




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 20



2016 წლის 7 მარტი

ხაშური


ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №145 განკარგულებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტში ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს - ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრს (ს/კ 243918123), მოსწავლეთა მატებასთან დაკავშირებით გითარის შემსწავლელი წრის პედაგოგის დატვირთვის შესაბამისი ანაზღაურებისათვის, მთლიანი ასიგნებების ფარგლებში ესაჭიროება 350 ლარის გადატანა შრომის ანაზღაურების მუხლში, რის გამოც საჭირო გახდა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №145 განკარგულებაში ცვლილების შეტანა.

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ა.ა.ი.პ ხაშურის ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრიდან შემოსული 2016 წლის 19 თებერვლის №402 წერილის საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. განხორციელდეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №145 განკარგულებით დამტკიცებულ „ხაშურის მუნიციპალიტეტში ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობის პროგრამაში“, პროგრამის ბიუჯეტის ფარგლებში შრომის ანაზღაურების მუხლს დაემატოს 350 ლარი, საერთო ბიუჯეტი კვლავ განისაზღვროს 68 500 ლარით. დანართი №1 შეიცვალოს ახალი დანართ №1-ით (დანართი №1 თან ერთვის 2 ფურცლად).
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე

**ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების
ხელშეწყობის პროგრამა**

პროგრამის ძირითადი მიმართულებები:

შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული ბავშვებისა და მოზარდების გამოვლენა და მათი მოზიდვა საგანმანათლებლო-სახელოვნებო სივრცეში.

- ❖ მოსწავლე ახალგაზრდობის დაინტერესება ხელოვნების დარგებით.
- ❖ სასწავლო პროცესების ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი წრეების ფუნქციონირების უზრუნველყოფა.
- ❖ მოსწავლეთა ნიჭის თვითრეალიზებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა.
- ❖ შემოქმედი ბავშვების მიერ ხალხური ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა-პოპულარიზაცია.
- ❖ ეროვნული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების პოპულარიზაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შემოქმედი ბავშვებისათვის.
- ❖ შემოქმედი ბავშვებისათვის გართობისა და დასვენების სათანადო ბაზის შექმნა.
- ❖ შემოქმედი ბავშვებისათვის და ასევე მათი მონაწილეობით მასობრივი ღონისძიებების გამართვაში ხელშეწყობა.
- ❖ შემოქმედი ბავშვებისათვის სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში ხელშეწყობა.
- ❖ გაცვლითი კულტურული პროგრამების ორგანიზების ხელშეწყობა. შემოქმედ ბავშვთა მონაწილეობით დელფიადებისა და ოლიმპიადების მოწყობის ორგანიზების ხელშეწყობა.

პროგრამის ბიუჯეტი

განისაზღვროს ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ასიგნებები **68 500** ლარის ოდენობით:

სულ სუბსიდიის ოდენობა	68 500
მათ შორის შრომის ანაზღაურება	60 010

პროგრამის ხანგრძლივობა:

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

მოზარდთა და ბავშვთა სულიერი და გონებრივი განვითარება.

სკოლისგარეშე საქმიანობის დაუფლება და იმავდროულად საგანმანათლებლო სასწავლო პროცესების ხელშეწყობა.

შემოქმედებითი განვითარებისათვის საჭირო მომსახურების მიღების ხელმისაწვდომობა.

შეფასების ინდიკატორი:

საგანმანათლებლო სასწავლო პროცესში ჩართული მოსწავლე-ახალგაზრდების რაოდენობა;

შემოქმედი ბავშვების მიერ ორგანიზებული პროექტების რაოდენობა.